Dachi De Graff
https://orcid.org/0000-0001-5838-9440
Finance Officer, BRAMS Institute

The Geopolitical Vicissitudes of the Georgian Kingdom in the 18th Century

(Abstract)

KEYWORDS: Georgia, Heraclius II (Erekle II), Russia, Totleben, Treason, Treaty of Georgievsk, Politics, History

For two centuries, Russian and Georgian politicians and scholars have argued that the Russian Empire – and later the Soviet Union – was indispensable to the survival of the Georgian nation. They contend that a people who had inhabited their homeland for millennia and repeatedly defended Christianity against invaders could not have weathered the political upheavals of the 19th century without Russian intervention. A close reading of primary sources and documentary evidence, however, reveals a more complex history, shaped by Georgian agency, political contingency and competing interests.

In 1490, the medieval Kingdom of Georgia fragmented into several polities: Kartli, Kakheti, Imereti and the Principality of Samtskhe. Samegrelo retained a measure of autonomy. Among the rulers who emerged from this divided landscape, Heraclius II (Erekle or Irakli) combined local resilience with dynastic ambition. From the age of fifteen, he commanded troops against Lezgi raids, earning the sobriquet “Little Kakhetian”. From 1744 to 1762, Teimuraz II and Heraclius co-ruled Kartli and Kakheti.

BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

After Teimuraz's death, Heraclius consolidated his authority as the leading ruler of a reunited Kartli-Kakheti.

In the second half of the 18th century, Ottoman, Persian and Russian ambitions shaped Georgian diplomacy and warfare. In 1763, Heraclius handed over Azat Khan, a prisoner of war, to Kerim Khan Zend, helping to secure peaceful relations with Persia.

During the Russo-Turkish War of 1768–1774, Kartli-Kakheti and Imereti resisted Ottoman advances and sought Russian assistance. That support proved erratic. A small Russian expedition under Count Totleben arrived in 1769, followed by reinforcements in early 1770. Totleben's conduct deepened tensions: he abandoned Georgian forces at Atskuri before the main battle and instead occupied local fortresses. In some cases, he compelled garrisons and inhabitants to swear allegiance to the Russian empress. Heraclius was left fighting the Ottomans without the promised Russian support. Totleben was removed in mid-1770, and General Sukhotin took command. Russian troops were gradually withdrawn and had left Georgia by 1772.

The episodes exposed the risks of relying on Russian military assistance. In response, Heraclius established a standing army in 1774, enabling Kartli-Kakheti to repel Lezgi raids and begin a slow economic recovery. Russia rejected his requests for financial aid as peace with the Ottomans and shifting imperial priorities reduced its willingness to subsidise Georgian defence. The eastern Georgian kingdom was therefore forced to strengthen its military and administrative capacity largely on its own.

Heraclius continued to adjust his alliances as regional circumstances changed. Renewed Persian-Ottoman tensions led him to reach an accord with the Ottoman Empire in 1776–1777,

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

straining relations with Persia. Kerim Khan's attempts to depose him were thwarted by Heraclius's political manoeuvring and, ultimately, by Kerim Khan's death in 1779. Heraclius used pragmatic, sometimes opportunistic diplomacy to preserve his position amid unpredictable regional rivalries.

After Kartli-Kakheti's standing army was disbanded in the early 1780s, Heraclius turned once again to Russia, having first failed to secure support from Western Europe or the Ottomans. The resulting Treaty of Friendship was signed at Georgievsky Fortress on 24 July 1782. It required eastern Georgia to seek Russian military assistance and formally affirmed Heraclius's dynastic rights. The agreement was controversial: contemporaries in both East and West viewed it as a possible step towards Russian predominance. France and Britain urged Ottoman resistance, while Ottoman protests and broader geopolitical caution prevented Russia from concluding a similar agreement with Imereti. Russian troops entered eastern Georgia on 3 November 1783, but withdrew during the Russo-Turkish conflict after Ottoman demands in July 1787, effectively breaching the treaty.

During the Russo-Turkish War of 1787–1791, Georgian elites sought to unite Kartli-Kakheti and Imereti. Although political unification did not follow, the 1790 Treaty of the Georgian Kingdoms and Principalities expressed a shared aspiration for collective defence. That aspiration faced a renewed and violent threat with the rise of Agha Mohammad Khan and the consolidation of the Qajar state in Persia. From 1793 to 1794, Heraclius repeatedly asked Russia to provide the troops promised by treaty, but received little response.

BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

The consequences were catastrophic in 1795, when Agha Mohammad Khan invaded Kartli-Kakheti and sacked Tbilisi and other cities in eastern Georgia. Georgian forces fought valiantly at Krtsanisi but were defeated after three days of fighting. Heraclius, determined to die honourably in battle, was forced by his royal guard to retreat. The defeat exposed both the limits of dynastic courage and the dangers of depending on a protector that had repeatedly failed to honour its commitments, particularly after other avenues of support had closed.

Heraclius died on 11 January 1798. His successor, George XII, faced continuing Persian threats and pressed Russia to fulfil its treaty obligations. Emperor Paul I's interventions in 1799 – including his recognition of George as king, the naming of George's son David as heir and the dispatch of troops – briefly suggested renewed Russian engagement. On 7 September 1799, Georgian king proposed amendments that would place Kartli-Kakheti under Russian jurisdiction in foreign and domestic affairs while preserving the royal title. Documents submitted on 24 June 1800 and approved on 23 November 1800 envisaged a protectorate-like relationship. Russia's strategic calculations, however, soon changed.

After improving relations with France, Paul I began to consider annexing Kartli-Kakheti. He signed a manifesto to that effect on 18 December 1800. It was published in St Petersburg on 28 January 1801, without the knowledge of the Georgian diplomats. After George XII's death, his son David assumed authority, while Georgian diplomats continued their efforts to strengthen governance and improve relations with Russia. Paul's assassination on 11 March 1801 did not halt the imperial policy of abolishing Kartli-Kakheti. On 12 September 1801, Alexander I's

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

manifesto formally abolished the kingdom; regulations introduced in May 1802 brought Georgian institutions into the Russian imperial system. The Russian Empire continued to annex the remaining Georgian territories until the early 1860s. Georgia remained under Russian rule until the 1917 Revolution, after which it regained its independence. In 1921, Soviet Russia invaded and annexed the young democratic republic, bringing it under Soviet rule for a further seventy years.

The meaning of these events remains contested. Some have portrayed Russian intervention as providential salvation; others see it as a calculated annexation that weakened Georgian sovereignty and sought to efface national identity. The documentary record – military reports, treaties, diplomatic correspondence and eyewitness testimony – supports a more complex interpretation. Georgian rulers and elites sought external patronage while building local capacity; they were political actors operating under severe constraints, not passive dependants. Russia's shifting commitments and eventual annexation reveal a gradual encroachment that increasingly subordinated Georgian sovereignty. Although some contemporaries viewed the relationship as salvific, many Georgian scholars have understood it as annexation and occupation, arguing that imperial policy marginalised Georgia internationally for almost two centuries. The 18th century thus presents a polity negotiating survival amid rival empires, with imperial ambition, local resilience and international diplomacy all shaping its fate.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დაჩი დე გრაფი
https://orcid.org/0000-0001-5838-9440
ფინანსისტი, ბრამსის ინსტიტუტი

საქართველოს სამეფოს პოლიტიკური ბედი და უგებლობა XVIII საუკუნეში

საკვანძო სიტყვები: საქართველო, რუსეთი, ერეკლე II, ტოტლებენი, ღალატი, გეორგიევსკის ტრაქტატი, პოლიტიკა, ისტორია

ორი საუკუნეა, რაც პოლიტიკოსთა თუ მეცნიერთა ნაწილი როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, „ორ ზღვას შუა“ მდებარე, უძველესი ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შემქმნელი, ქრისტიანობის დასაცავად მრავალმგამოვლილი ქართველი ერის გადარჩენაში რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის უზარმაზარ „წვლილზე“ საჯაროდ საუბრობს. რეალურად რა სურათიც იკვეთება დოკუმენტირებული ფაქტებიდან, ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია დამოუკიდებლად დაინახოს.[1]

1490 წელს ოფიციალურად გაფორმდა საქართველოს სამეფოს დაშლა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის საათაბაგოდ. საბედიანოს სამთავრო, იგივე, სამეგრელო, არ აღიარებდა ქართლ-იმერეთის მეფის ხელისუფლებას და არ ემორჩილებოდა. 1762-1801 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მამაშვილ მეფეთა, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ძალისხმევით გაერთიანდა ქართლისა და კახეთის სამეფოები.[2] ამ ფეოდალური სახელმწიფოს მმართველი 1762 წლიდან მეფე ერეკლე გახდა.[3] აღსანიშნავია, რომ თეიმურაზი კა-

BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ხეთის მეფე იყო 1709-1715 და 1733-1744 წლებში, ხოლო 1744-1762 წლებში ქართლის სამეფოს განაგებდა, როგორც მამის, ერეკლე I-ის მემკვიდრე (1688-1703 წწ. ქართლის სამეფოსა და 1703-1709 წწ. კახეთის სამეფოს მეფე). ქართლში გამეფებულმა თეიმურაზ II-მ კახეთის სამეფოში საკუთარი ძე – ერეკლე დასვა მეფედ 1722 წლიდან. პატარა კახს სამემკვიდრო უფლება არა მხოლოდ მამისა და პაპისგან, არამედ დედისგანაც ჰქონდა, რადგან თამარი იყო 1703-1724 წლებში ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის ასული. ამიტომ, ერეკლე ლოგიკურად გახდა მამის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს ანუ აღმოსავლეთ საქართველოს ერთპიროვნული მეფე-მმართველი.[4]

ნადირ-შაჰის ყოფილ სარდალს, ქერიმ-ხან ზენდს, რომელიც თითქმის მთელ სპარსეთს განაგებდა იმ პერიოდში, 1763 წელს მეფე ერეკლემ გადასცა 1760 წელს დატყვევებული აზატ-ხანი, პუშტუნების სამხედრო მეთაური და ირანის ტახტის მთავარი პრეტენდენტი 1747 წელს ნადირ-შაჰის გარდაცვალებიდან მოყოლებული. ქერიმ-ხანი აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებული სამეფოს არსებობას შეეგუა თავისი ერთ-ერთი უძლიერესი მოწინააღმდეგის ხელში ჩაგდების სანაცვლოდ. სწორედ ეს ფაქტი დაედო საფუძვლად სპარსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას.[5]

დაახლოებით ამ პერიოდში დაიწყო აქტიური პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის. 1768-1774 წწ. მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომში ქართლ-კახეთის სამეფო, ისევე როგორც იმერეთის სამეფო, თურქეთის წინააღმდეგ იბრძოდა.[6] რუსეთის ვარაუდით, ერეკლე II 30 ათას, ხოლო სოლომონ I 20 ათას მეომარს გამოიყვანდა ოსმალეთის წინააღმდეგ ამიერკავკასიაში

BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

საომრად. ჩრდილოეთის იმპერიის გათვლებით, თავად დიდი მსხვერპლის გაღება არ მოუწევდა ამ ფრონტზე თუკი ქართველი მეფეები თურქების წინააღმდეგ ომში საკუთარი ძალებით იბრძოლებდნენ. ერეკლეს მიზანი იყო სამცხის საათაბაგოსა (იმ დროს, ახალციხის საფაშო) და ჭარ-ბელაქნის დაბრუნება საქართველოსთვის, დაღესტნელების განუწყვეტელი შემოსევების ალაგმვა და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება. მეფე სოლომონს, ოსმალეთთან ომის პარალელურად, განზრახული ჰქონდა ოდიშისა და გურიის სამთავროების დამორჩილება და იმერეთის სამეფოსთვის შემოერთება.

1769 წელს საქართველოში რუსეთმა საექსპედიციო 500-კაციანი რაზმი გამოგზავნა გრაფი ტოტლებენის მეთაურობითა და ოთხი ზარბაზნით.[7] ასეთი მცირე ძალა დიდი ვერაფერი დახმარება იყო. ამიტომ ქართველი მეფენი დიდ სამხედრო ოპერაციებს მოერიდნენ.

1770 წლის გაზაფხულზე 3 ათას 767 რუსი ჯარისკაცი ჩამოვიდა საქართველოში 12 ზარბაზნით. საქმეს ამანაც ვერ უშველა ტოტლებენის უტაქტო საქციელისა და ქართველ მეფეთა შეურაცხყოფის გამო. ამ სამხედრო პირის თვითნებური მოქმედებებით ძალზე უკმაყოფილონი იყვნენ ქართველი მონარქები. მათ დასახმარებლად რუსეთის იმპერიის მიერ გამოგზავნილი კაცი არც მთავარსარდლად ვარგოდა და არც სურდა რაიმე სასარგებლო ქმედების ჩადენა.

ტოტლებენი ძალზე საეჭვო რეპუტაციით სარგებლობდა რუსეთის იმპერიაში. ჯერ კიდევ 1761 წელს ღალატის ბრალდებით დააპატიმრეს და 1762 წელს სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა. იმპერატორ პეტრე III-ის მკვლელობის გამო, განაჩენის აღსრულება დაყოვნდა; 1763 წელს ეკატერინე II-მ განაჩენი შეუცვალა ქონების კონფისკაციითა და გაძევებით. რუსეთის იმპერიაში

BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თავშერცხვენილი მოღალატე 1768 წელს გერმანული წარმოშობის რუსმა იმპერატრიცამ იმერეთის მეფის დასახმარებლად გაგზავნა და რუსული რაზმის მეთაურად დანიშნა. 1769 წელს ტოტლებენი მეფე ერეკლეს დაუკავშირდა და დახმარებას დაპირდა, მაგრამ, სინამდვილეში, ერეკლეს ღალატი და ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთისთვის მიერთება ჰქონდა ჩაფიქრებული.

თავიდან ერეკლე და ტოტლებენი შეთანხმდნენ, ახალციხის საფაშოზე ერთობლივად გალაშქრათ.[8] 1770 წლის 24 მარტს გაერთიანებული ქართულ-რუსული ძალები საომრად დაიძრნენ, მაგრამ მოულოდნელად გოტლიბ ტოტლებენმა აწყურის ციხესთან მიატოვა 7 ათასი ქართველი და 19 აპრილს თავისი 1200 ჯარისკაცით სურამში დაბრუნდა. მარტო დარჩენილმა მეფე ერეკლემ ოსმალ-ლეკთა 8-ათასიანი კორპუსი სასტიკად დაამარცხა 20 აპრილს გამართულ ასპინძის ომში. მარჯვენა ფლანგს დავით ორბელიანი სარდლობდა, მარცხენას – გიორგი ბატონიშვილი (შემდგომში, გიორგი XII), ცენტრს – თავად მეფე ერეკლე, რომელიც საერთო ხელმძღვანელობასაც ახორციელებდა. 4 ათასი მოკლული დატოვა მტერმა ბრძოლის ველზე. ქართველებმა ხელთ იგდეს ტყვეები, დროშები, ცხენები და დიდი რაოდენობით იარაღი. ბრწყინვალე გამარჯვების მიუხედავად, ერეკლე ჯარის სიმცირის გამო უკან დაბრუნდა.[9]

საერთო მტრის წინაშე მარტო დატოვებისა და, ზოგადად, ტოტლებენის თვითნებობის გამო, მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა. ამას დაემატა აშკარა ღალატიც: ტოტლებენმა ჯერ დუშეთის, ანანურის, გორისა და ცხინვალის ციხე-სიმაგრეები დაიკავა, შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობას აიძულებდა რუსეთის იმპერატორის ერთგულება დაეფიცა. გარუსებული გერმანელის მიზანი იყო ერეკლე II-ის ტახტიდან ჩამოგდება და დაპატიმრება. ქარ-

BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თველმა მეფემ ეს მცდელობა დროული ღონისძიებებით ჩაშალა და მოღალატე ცრუ-მოკავშირის დასაპატიმრებლად გაემართა, რის გამოც 1770 წლის ივნისში ტოტლებენი იძულებული გახდა, იმერეთში[10] (დასავლეთ საქართველო) გადასულიყო.

ერეკლეს მოქიშპე სოლომონ I-მა გარუსებული გერმანელი მთავარსარდლის სათავისოდ გამოყენება განიზრახა. არ გაითვალისწინა კარიერისტი გენერლის მოღალატური ბუნება და მეფე ერეკლესთან მრავალგზის გამომჟღავნებული ბოროტი ზრახვები.

სოლომონმა და ტოტლებენმა ერთობლივი ძალებით განდევნეს ოსმალები შორაპნის, ცუცხვათის, ბაღდათისა და ქუთაისის ციხეებიდან. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ტოტლებენის ბრძანებით გახსნილმა საქვემეხო ცეცხლმა უნიკალური ბაგრატის ტაძარი გაანადგურა; ოსმალები კი ღამით ისე გაიპარნენ, რუსის გარნიზონმა „ვერ შეამჩნია“. სინამდვილეში, ტოტლებენის ჯარს ოსმალების შეკავებაზე არც უფიქრია. მათი უმთავრესი საზრუნავი ალაფის ხელში ჩაგდება იყო.

1770 წლის ოქტომბერში სოლომონ მეფემ, ოდიშის მთავარმა კაცია II დადიანმა და ტოტლებენმა ფოთის ციხეზე წარუმატებლად გაილაშქრეს. გარუსებული გერმანელის საომარი საქმიანობა საქართველოში ამით დამთავრდა. შემდეგ ტოტლებენი ძველ ჩვევებს დაუბრუნდა, ისევ საღალატოდ მოიცალა და მეფე სოლომონ I-ის წინააღმდეგ დაიწყო ინტრიგების ხლართვა. რუსეთის წარმოგზავნილმა გენერალ-მაიორმა ისე გადაიკიდა ქართველები, რომ საიმპერატორო მთავრობა იძულებული გახდა 1771 წლის იანვარში ტოტლებენი საქართველოდან გაეწვია. პეტერბურგში დაბრუნებულ ტოტლებენს დივიზია ჩააბარეს და ვარშავაში გაგზავნეს, სადაც მალევე გარდაიცვალა.

BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ჩრდილოეთის იმპერიამ ტოტლებენი ჯერ გენერალი სუხოტინით ჩაანაცვლა, ხოლო 1772 წელს რუსეთის ჯარის ნაწილები საერთოდ გაიყვანა საქართველოდან. ერეკლემ რუსეთის მთავრობას სამხედრო მფარველობის გაწევა სთხოვა ქართლ-კახეთის სამეფოსთვის.[11] 1772-1773 წწ. რუსეთსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. ამიტომ იმპერატორმა თხოვნაზე უარით უპასუხა ქართველ მეფეს.

სამეფოში მშვიდობის უზრუნველსაყოფად და ძლიერი ხელისუფლების ჩამოსაყალიბებლად რეგულარული ჯარი იყო აუცილებელი, მაგრამ იმ დროს ქართლ-კახეთს საჭირო ფინანსები არ გააჩნდა. სანდო მოკავშირის პოვნაც ვერ მოხერხდა ვერც ჩრდილოეთში, ვერც დასავლეთ ევროპაში. მეფე ერეკლემ ოპტიმალურ გამოსავალს მიაგნო და 1774 წელს მორიგე ჯარი[12] შექმნა. ამ სამხედრო შენაერთის წყალობით მოხერხდა ლეკთა თარეშის მოსპობა და ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის დაწყება.[13] ამავე 1774 წელს ერეკლე II-მ რუსეთს ფინანსური დახმარება სთხოვა, მაგრამ კვლავ უარი მიიღო ოსმალეთთან დადებული ზავის საბაბით. არც ევროპის სახელმწიფოები დათანხმდნენ სესხის გაცემას. საქართველო კვლავაც მარტო იყო საკუთარ პოლიტიკურ და ფინანსურ პრობლემებთან. შემდეგი შვიდი წლის განმავლობაში არ დაინტერესებულა რუსეთის იმპერია საქართველოსთან ურთიერთობით.[14]

ამ დროს სიტუაცია ისევ დაიძაბა სპარსეთ-ოსმალეთს შორის. სანამ ისინი ერთმანეთთან ომისათვის ემზადებოდნენ, ორივე მხარე ცდილობდა ერეკლეს მიმხრობას მომავალ ბრძოლაში. ქართველმა მეფემ ოსმალეთი ამჯობინა. შესაბამისად, 1776-1777 წწ. ქართლ-კახეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო ხელშეკრულება. ამან ურთიერთობა გაამწვავა სპარსეთთან. ქერიმ-ხანმა საქართვე-

BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლოს წინააღმდეგ გალაშქრებისთვის დაიწყო მზადება. იგი მიზნად ისახავდა ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდებასა და, მის ნაცვლად, ვახტანგ VI-ის შვილიშვილის, ალექსანდრე ბაქარის ძის გამეფებას, რომელიც 1767 წლიდან იმყოფებოდა ქერიმ-ხანთან. 1779 წელს სპარსეთის მბრძანებელი ისე გარდაიცვალა, დაგეგმილი ლაშქრობის განხორციელება არ დასცალდა. შორეულ მტერს ახლობელმა ჩამოართვა ესტაფეტა: იმერეთის მეფე სოლომონ I-მა ქართლ-კახეთის ოსმალეთთან შეთანხმება თავისთვის საფრთხის მომასწავებლად მიიჩნია; ამიტომ ალექსანდრე ბაქარის ძე თავისთან წაიყვანა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მიზნით, მაგრამ ერეკლემ შეძლო იმერეთის მეფის ჩანაფიქრის ჩაშლა.[15]

1780-იანი წლების დასაწყისში მორიგე ჯარის სისტემა მოიშალა. ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა თანდათან გაუარესდა რეაქციონერი თავადების მოღალატური ქმედებების შედეგად. მეფე ერეკლეს არც დასავლეთ ევროპა,[16] არც ოსმალეთთან დადებული შეთანხმება არ გამოადგა. ამ დროს ისევ დაიძაბა რუსეთ-ოსმალეთს შორის ურთიერთობა ყირიმის შეერთების გეგმის გამო. რთულ სიტუაციაში ჩავარდნილ ჩრდილოელ მეზობელს საქართველო გაახსენდა და ამჯერად თავად შესთავაზა მეფე ერეკლეს შეთანხმების დადება.

1782 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ციხესიმაგრეში[17] რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის გაფორმდა „მეგობრობის ტრაქტატი“.[18] საქართველო სამხედრო დახმარებასა და რუსეთის მფარველობაში შესვლას ითხოვდა სამეფო ტახტზე მეფე ერეკლესა და მისი მემკვიდრეების უფლებათა დაცვით, განჯა-ერევნის სახანოებზე ერეკლეს უფლებების აღიარებით და საქართველოს ისტორიული ტერიტორიების (სამცხე-საათაბაგო,

BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

აღმოსავლეთ კახეთი) დაბრუნების საქმეში დახმარების პირობით.

ამ ტრაქტატმა[19] დიდი უკმაყოფილება გამოიწვია როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის სახელმწიფოებში,[20] რადგან ახლო აღმოსავლეთში რუსეთის გაბატონების ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნიეს. ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ საფრანგეთი და ინგლისი.[21] ოსმალეთის პროტესტის გამო, რუსეთმა მსგავსი ტრაქტატი ვეღარ დადო იმერეთის სამეფოსთან. 1783 წლის 3 ნოემბერს რუსეთის ჯარი საქართველოში შემოვიდა ტრაქტატის ძალით. 1787 წლის ივლისში ოსმალეთმა რუსეთს მოსთხოვა საქართველოდან ჯარის გაყვანა და ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ოსმალეთის ვასალად ცნობა.[22] ამავე წლის აგვისტოში ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს, რომელმაც სექტემბერში მოულოდნელად გაიწვია თავისი ჯარი საქართველოდან და დაარღვია ტრაქტატის პირობები.[23]

1787-1791 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა ქართლ-კახეთის სახელმწიფოსა და იმერეთის სამეფოს გაერთიანება სცადეს.[24] ეს ვერ მოხერხდა, თუმცა, 1790 წელს დაიდო საქართველოს სამეფო-სამთავროების ტრაქტატი,[25] რაც გულისხმობდა საერთო მტრების წინააღმდეგ ერთობლივად ბრძოლას. გონიერი ქართველები ისევ დამოუკიდებლად, მარტო და საკუთარი ძალებით ცდილობდნენ გარსშემორტყმულ მტერთან გამკლავებასა და სამშობლოს გადარჩენას.

პარალელურად, სპარსეთში გაძლიერდა აღა-მაჰმადხანი და 1793-1794 წწ. ერეკლემ რამდენჯერმე მიმართა რუსეთის მთავრობას ტრაქტატით გათვალისწინებული ჯარის გამოგზავნის მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ.[26] 12 წლის განმავლობაში არღვევდა და არ ასრულებდა „გე-

BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ორგიევსკის ტრაქტატზე“ ხელმოწერით აღებულ საკუთარ ვალდებულებებს რუსეთის იმპერია.

1795 წელს აღა-მაჰმად-ხანი ქართლ-კახეთის სამეფოს შემოესია. აიღო, გაძარცვა და გადაწვა თბილისი. გაანადგურა ქართლის ქალაქები და სოფლები, დახოცა და დაატყვევა მოსახლეობა.[27] თავგამოდებით იბრძოდნენ ქართველები კრწანისის სამდღიან ბრძოლაში, მაგრამ დამარცხდნენ. მეფე ერეკლეს ბრძოლის ველზე გმირულად დაცემა განეზრახა, თუმცა, სამეფო სპამ ამის ნება არ მისცა, ძალით გაიყვანა სამშვიდობოს.

სექტემბრის ტრაგედიიდან რამდენიმე თვეში, 1795 წლის დეკემბერში, აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის ორი ბატალიონი შემოვიდა. რუსეთს დახმარება არც უფიქრია. 1796 წელს სპარსეთს ომი გამოუცხადა საქართველოს აოხრებისთვის აღა-მაჰმად-ხანის დასჯის საბაბით.[28] სინამდვილეში, ამ ნაბიჯით მიზნად ისახავდა ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების სათავისოდ გადაწყვეტას. რუსეთის ჯარმა აიღო დარუბანდი, შემახა[29] და ბაქო, მაგრამ 17 ნოემბერს ეკატერინე II გარდაიცვალა; მისმა მემკვიდრე პავლე I-მა ომი შეწყვიტა და თავისი ჯარი უკან გაიწვია. აღა-მაჰმად-ხანმა სიტუაციით ისარგებლა და ერეკლეს დამორჩილება მოსთხოვა. ქართლ-კახეთის სამეფოს განადგურების მუქარა სპარსეთის მბრძანებელმა ვერ განახორციელა, რადგან აღმოსავლეთ საქართველოს მეორედ დასალაშქრად წამოსული, ქალაქ შუშაში მისმა მსახურებმა მოკლეს. იმპერატორმა პავლემ ის ორი ბატალიონიც გაიწვია ქართლ-კახეთის სამეფოდან, საქართველოში მუდმივად რომ უნდა ყოფილიყო ტრაქტატის თანახმად.[30]

1798 წლის 11 იანვარს მეფე ერეკლე გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა მისი ვაჟი, გიორგი XII.[31] აღა-მაჰმად-ხანის ძმისწულმა, ახალმა შაჰმა ბაბა-ხანმა მეფე გიორგის მორ-

BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ჩილება მოსთხოვა. ქართლ-კახეთის მბრძანებელმა, ერთი მხრივ, სპარსეთთან მოლაპარაკება სცადა; მეორე მხრივ, რუსეთის მთავრობას ტრაქტატის პირობების დაცვა მოსთხოვა: თუ დახმარებას არ მიიღებდა, მისი სამეფო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებას დაუბრუნდებოდა. იმპერატორმა პავლემ ტრაქტატის აღდგენა გადაწყვიტა: 1799 წელს მან გიორგი მეფედ დაამტკიცა, მისი შვილი დავითი – მემკვიდრედ და ტრაქტატით გათვალისწინებული ჯარიც გამოგზავნა.

გიორგის მოწინააღმდეგე ბატონიშვილები აჯანყდნენ; ალექსანდრე ბატონიშვილი ბაბა-ხანთან წავიდა.[32] რუსეთის უფრო მეტად დაინტერესების მიზნით, გიორგი XII-მ 1799 წლის 7 სექტემბრის „გეორგიევსკის ტრაქტატის“ შესწორება ითხოვა: ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შევიდოდა, საგარეო და საშინაო საქმეებში რუსეთის მთავრობის მორჩილი გახდებოდა, ოღონდ გიორგისა და მის მემკვიდრეებს მეფის წოდება უნდა შეენარჩუნებინათ.[33] ქართველმა ელჩებმა: გარსევან ჭავჭავაძემ,[34] გიორგი ავალიშვილმა[35] და ელიაზარ ფალავანდიშვილმა[36] 1800 წლის 24 ივნისს ნოტა გადასცეს რუსეთის მთავრობას ახალი ხელშეკრულების თაობაზე. ამავე წლის 19 ნოემბერს ხელშეკრულების პროექტი მოიწონა იმპერატორმა და 23 ნოემბრის სიგელით ამის თაობაზე აცნობა მეფე გიორგის.

ოფიციალურ დოკუმენტებში ასახული სამომავლო ურთიერთობა მთლიანად სიცრუე აღმოჩნდა. რუსეთ-საფრანგეთის პოლიტიკური დაახლოების შედეგად, რუსეთისთვის ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება შეიქმნა და იმპერატორს ფარულად გადაეწყვიტა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება მისი რუსეთთან შეერთების მიზნით.[37] ტოტლებენის ხელით ეკატერინე II-ის განუხორციელებელ გეგმას მისი მემკვიდრე აღასრულებდა. 18 დეკემ-

BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ბერს პავლე I-მა ხელი საიდუმლოდ მოაწერა შესაბამის მანიფესტს, რომელიც მხოლოდ 1801 წლის 28 იანვარს გამოქვეყნდა პეტერბურგში.[38] ქართველმა ელჩებმა არაფერი იცოდნენ რუსულ საიმპერატორო პოლიტიკაში მიმდინარე ორმაგი თამაშის თაობაზე.

1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა.[39] ელჩები გ. ავალიშვილი და ე. ფალავანდიშვილი 1801 წლის იანვარში დაბრუნდნენ საქართველოში. მათ დავით გიორგის ძე დახვდათ, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ მართავდა ქართლ-კახეთის სამეფოს. ქართველმა დიპლომატებმა ნოტა შეადგინეს, რომელსაც საფუძვლად დაედო 1800 წლის 19 ნოემბერს პავლე I-ის მიერ მოწონებული ხელშეკრულების პროექტი. ამ ნოტის თანახმად, ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მმართველად ინიშნებოდა მეფის ერთ-ერთი შვილი, რომელიც იმპერატორის მოადგილე იქნებოდა საკანონმდებლო ხელისუფლებას მოკლებული მეფის ტიტულით, მისი თანაშემწე გახდებოდა რუსეთის მთავრობის მიერ დანიშნული დიდმოხელე, რომელიც მეორე პირად ჩაითვლებოდა მეფის შემდეგ. ქართველმა ელჩებმა ეს ნოტა გადასცეს რუსეთის მთავრობას.[40]

ამასობაში, რუსეთში რადიკალურად შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია: 1801 წლის 11 მარტს შეთქმულებმა მოკლეს პავლე I. თუმცა, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების გეგმას ძველებურად ახორციელებდა რუსეთის იმპერია.[41] 1801 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების შესახებ.[42] მან იმავე დღეს დაამტკიცა დებულება ახალშეერთებული ქვეყნის[43] მმართველობის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1802 წლის მაისში. ასეთი პოლიტიკური მხარდაჭერა და საქართველოს ამგვარად „გადარჩენა“ მი-

BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

აჩნია მავანს რუსეთის დიდ დამსახურებად. ქართულ საზოგადოებაში ზოგი გულწრფელად მადლიერია იმის გამო, რაც დანარჩენ ნაწილს ანექსიად, ოკუპაციად, დაპყრობად, ეროვნული თვითმყოფადობის მოსპობის მცდელობად თუ საქართველოს მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან მიზანმიმართულად წაშლად ესახება.

ლიტერატურა ▫ References

1. ასათიანი ნოდარ, ოთხმეზური გიორგი, სამსონაძე მიხეილ, ჯამბურია გივი (2020). საქართველოს ისტორია: უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე (ოთხ ტომად). ტომი 3: საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე, თბილისი: „პალიტრა L“, გვ. 322-463.
2. აბაშიძე ზაზა, ბახტაძე მიხეილ, ჯანელიძე ოთარ (2020). საქართველო და ქართველები: საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე. მესამე გამოცემა, თბილისი: „ბაკმი“.
3. გელაშვილი აკაკი (2020). ერეკლე II. თბილისი: „პალიტრა L“.
4. ლორთქიფანიძე მარიამ, მეტრეველი როინ (2007). საქართველოს მეფეები. თბილისი: „ნეკერი“. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/77842
5. Ghani, Cyrus (2000). *Iran and the Rise of Reza Shah: From Qajar Collapse to Pahlavi Power*. Bloomsbury Academic.
6. გოგოლაური რომან (1997). რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომი და ერეკლე II-ის ბრძოლა სამცხე-ჯავახეთის განთავისუფლებისათვის. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
7. Lang, David Marshall (1951). Count Totleben's Expedition to Georgia 1769-1771 according to a French Eyewitness. *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, University of London, Vol. 13, No. 4.
8. მიქიაშვილი ლელა (2009). ერეკლე მეორის სამხედრო პოლიტიკა. თბილისი.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

9. მაჭარაძე ვალერიან (1957). ასპინძის ბრძოლა. თბილისი: „სახელგამი“. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/403913/1/Aspindzis_Brdzola_1957.pdf
10. რეხვიაშვილი მიხეილ (1989). იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/275096
11. ჯავახიშვილი ივანე (1919). დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. თბილისი: სახელმწიფო სტამბა.
12. მორიგე ჯარი, მორიგე ლაშქარი – სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების სახეობა XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში, რომელიც ერეკლე II-მ ჩამოაყალიბა 1750-იან წლებში. 1774 წელს საბოლოო სახით გაფორმდა „მორიგის ლაშქრობის განაჩენით“ (ძველი ქართული ადმინისტრაციული და სამხედრო სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც შეიმუშავა დარბაზმა; შესავლისა და 37 მუხლისგან შედგება) და 1776 წელს დამატებით გამოცემული „მორიგე ჯარში გაუსვლელობისათვის“. მორიგე ჯარში უნდა ემსახურა ყველა წოდების სრულწლოვან მამაკაცს წელიწადში ერთი თვე თავისი ხარჯითა და იარაღით. მოლაშქრე გლეხი თავისუფლდებოდა სასურსათო გადასახადისგან. ხელმოკლე გლეხი ბატონს უნდა უზრუნველეყო სურსათითა და იარაღით. მორიგე ჯარისგან თავისუფლდებოდნენ მხოლოდ ვაჭრები და ზოგიერთი დარგის ხელოსნები. მორიგე ჯარის წყალობით, შესაძლებელი გახდა სამეფოში ერთდროულად 5 ათასი მოლაშქრის გამოყვანა. მისი დაწესებით მეფე ერეკლემ წოდებრივი ფეოდალური ლაშქარი დაშალა და საყოველთაო სამხედრო სამსახური დააწესა დასავლეთ ევროპული ქვეყნების მსგავსად. მორიგე ჯარის მიზანი იყო მეფის ხელისუფლების განმტკიცება და გარეშე მტრებისგან ქვეყნის დაცვა, რითიც სამეფოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროგრესს უწყობდა ხელს. თუმცა, სამეფოს არც ბიუჯეტი ჰქონდა და არც ადამიანური რესურსი ამ რეფორმის განმტკიცებისათვის. ქართველ თავადებს მორიგე ჯა-

BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რის არსებობა არ აწყობდათ, რადგან გლეხი უშუალოდ მეფეს დაექვემდებარა ჯამაგირზე მყოფი სამხედრო მოხელის საშუალებით და ბატონისგან თავდახსნის რეალური შანსი გაუჩნდა მეფის ხელისუფლების გაძლიერების გზით. 1787 წლისთვის მორიგე ლაშქარი შემცირდა ქვეყნის რეაქციული ძალების საერთო მცდელობის შედეგად. მისი ადგილი დაქირავებული ჯარის სახეობამ – მორიგე ყარაულმა დაიკავა. იხ.: კლიმიაშვილი აკაკი (1963). მორიგე ლაშქრის საკითხისათვის XVIII საუკუნის მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში. „ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე“, ტომი 5. // იხ.: კლიმიაშვილი აკაკი (2022). მორიგე ლაშქარი: მასალები XVIII საუკუნის საქართველოს სამხედრო ისტორიისათვის. თბილისი: „არტანუჯი“.

13. თაბუაშვილი აპოლონ (2010). ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბილისი: „უნივერსალი“. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/572999/1/ErekleMeorisEkonomikuriKoncefciebi_2010.pdf
14. Eastmond, Antony (2010). *Royal Imagery in Medieval Georgia*. Penn State Press.
15. ქიქოძე გერონტი (1942). ერეკლე II. თბილისი: „სახელგამი“.
16. Allen, William (2023). *A History of the Georgian People: From the Beginning Down to the Russian Conquest in the Nineteenth Century*. Taylor & Francis. https://books.google.ge/books?id=Wm6xEAAAQBAJ&pg=PT96&source=gbs_toc_r&cad=2#v=onepage&q&f=false
17. თევზაძე ნიკოლოზ (2022). როგორ „იხსნა“ რუსეთმა საქართველო (გეორგიევსკის ტრაქტატი). თბილისი: „არტანუჯი“.
18. მერკვილაძე დავით (2022). გეორგიევსკის ტრაქტატი და ერეკლე მეორე: მიზნები, სურვილები, შედეგები. თბილისი: „არტანუჯი“.
19. ქიქოძე გერონტი (2020). ერეკლე მეორე (ისტორიული მონოგრაფია). თბილისი: „ალიონი“, შპს „სეზანი“.
20. ტაბაღუა ილია (2000). ევროპული ცნობები ერეკლე II-ის შესახებ. თბილისი: ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

21. კალანდია გიორგი (2017). მეფე ერეკლე ბრიტანულ და ირლანდიურ პრესაში = Prince Heraclius in the British and Irish press. თბილისი.
22. ჯაფარიძე გოჩა (1995). საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. თბილისი: „მეცნიერება“, გვ. 102. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/9045
23. ჭუმბურიძე მანანა (2008). ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები, 1736-1797 წლები. თბილისი: „ტორი პლუსი“.
24. Batiashvili, Nutsa (2017). *The Bivocal Nation: Memory and Identity on the Edge of Empire*. Springer Press.
25. ბიჭიკაშვილი იოსებ (2022). მეფეთ-მეფე ერეკლე II: დოკუმენტური წყაროები (სიგელები, არზები, განჩინებები, ბრძანებები, წერილები და სხვა საბუთები). ექვს ტომად. მთავარი რედაქტორი – როინ მეტრეველი. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ეროვნულ ხელნაწერთა ცენტრი.
26. Rayfield, Donald (2012). *Edge of Empires: A History of Georgia*. London: Reaktion Books.
27. Sanikidze, Levan (1991). *Unsharpened Swords*. Tbilisi: Merani.
28. Lang, David Marshall (1962). *A Modern History of Georgia*. London: Weidenfeld and Nicolson.
29. შემახა (აზერ. Şamaxı) – აზერბაიჯანის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. მდებარეობს ბაქო-თბილისის საავტომობილო გზაზე. არქეოლოგიურმა გათხრებმა აქ ძვ. წ. V-IV სს. დასახლება აღმოაჩინა. IX-XVI სს. შირვანის სატახტო ქალაქი და შირვანშაჰთა რეზიდენცია იყო. 1222 წელს მონღოლებმა დაარბიეს. XVIII ს-ის შუა წლებში შემახის სახანოს მთავარი ქალაქი იყო. 1805 წელს რუსეთმა შეიერთა. შემახის ისტორიული ნაგებობები (ჯუმა-მეჩეთი, შირვანშაჰთა სასახლე და სხვ.) მიწისძვრამ დაანგრია და მხოლოდ აღწერითა თუ ცალკეული ნანგრევითაა დღეს ცნობილი.
30. Suny, Ronald Grigor (1994). *The Making of the Georgian Nation*. Indiana University Press.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

31. დუბროვინი ნიკოლოზ (1 თებერვალი, 2011). გიორგი XII საქართველოს უკანასკნელი მეფე და მისი შემოერთება რუსეთთან. http://defencegeorgia.blogspot.com/2011/02/xii.html
32. Lang, David Marshall (1957). *The Last Years of the Georgian Monarchy, 1658-1832*. New York: Columbia University Press.
33. იოსელიანი პლატონ (27 ოქტომბერი, 2007). „ღვინო უყვარდა წითელი და აქვნდა უკლეველი ხოდაშნური და ყვარული“. მარანი. იხ. წიგნი: ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. http://vinoge.com/istoria/Rvino-uyvarda-wiTeli-da-aqvnda-ukleveli-xodaSnuri-da-yvaruli
34. ბარსეგან ჭავჭავაძე (დ. 20 ივლისი, 1757 – გ. 7 აპრილი, 1811) – გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, დიდმოხელე და მეფე ერეკლე II-სთან დაახლოებული პიროვნება. როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი ელჩი პეტერბურგში (1784-1801), იგი ენერგიულად იბრძოდა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ეროვნული ავტონომიის შესანარჩუნებლად, მაგრამ მარცხი განიცადა. რუსეთის მიერ 1801 წელს ქართლ-კახეთის ანექსიის მოწინააღმდეგე ქართველი არისტოკრატი, 1805 წელს რუსეთში გადაასახლეს. იხ.: ქართული დიპლომატიური ლექსიკონი (1999), მთავარი რედაქტორი – როინ მეტრეველი, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
35. გიორგი ავალიშვილი (1769-1850) – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, მოგზაური, მწერალი, დრამატურგი და მთარგმნელი; ქართული დრამატურგიის მამამთავარი. 1791 წელს ერეკლე II-ის სამეფო კარზე დააარსა კლასიცისტური მიმართულების ქართული საერო თეატრი, რომელიც ავალიშვილის თეატრის სახელით არის ცნობილი და 1795 წლამდე იარსება, როცა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას ემსხვერპლა. საინტერესოა მისი სამოგზაურო დღიურები „მგზავრობაი თბილისით იერუსალიმისადმი საბერძნეთსა ზედა; უკუქცევაი იერუსალიმით თბილისისადმივე კიპრის ჭალაკისა, მცირისა აზიისა და ანატოლიის ძალით“. ამ ნაშრომს განსაკუთრებული ღირებულება გააჩნია ქართული გეოგრაფიული აზროვნების ისტორიის კუთხით. მრავალ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხთან ერთად, დღი-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ურებში მოცემულია საინტერესო ცნობები ეგვიპტეში მცხოვრები ქართველების შესახებ. ნაშრომი დაწერილია კალიგრაფიული მხედრულით ავალიშვილის მიერ. წიგნში მოცემული ნახატების ავტორის ვინაობა დაუდგენელია. იხ.: მეტრეველი ელენე (1975), ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 1, თბილისი, გვ. 115.
https://georgianencyclopedia.ge/pdf/1.pdf

36. ᲔᲚᲘᲐᲖᲐᲠ ᲭᲐᲚᲐᲕᲐᲜᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ (1759-1824) – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის მდივანი და ელჩი პეტერბურგში. იხ.: ქართული დიპლომატიური ლექსიკონი (მეტრეველი, 1999).
37. Metreveli, Roin (2003). *Scientific and Cultural Heritage of the Bagrationis*. Tbilisi: Neostudia (in Georgian and English).
38. *Полное собрание законов Российской империи*, собрание 1-ое (1649-1825), т. XXVI, указ 20007, стр. 781-785. https://nlr.ru/e-res/law_r/search.php
39. იოსელიანი პლატონ (1936). ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, ფედერაცია, გვ. 234-239.
40. ჯავახიშვილი ივანე (1919). დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. თავი X. თბილისი.
41. სურგულაძე აკაკი, სურგულაძე პაატა (1992). საქართველოს ისტორია (საკითხავი წიგნი, 1783-1990). თბილისი, გვ. 326-328.
42. *Полное собрание законов Российской империи*, собрание 1-ое (1649-1825), т. XXVI, указ 20007, стр. 781-785. https://nlr.ru/e-res/law_r/search.php
43. Eastmond, Antony (2010). Royal Imagery in Medieval Georgia. Penn State Press.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)